ხელშეკრულება # 2023 / 10 / 093
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 28 აპრილი, 2023 წ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული `შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით და **ინდივიდუალური მეწარმე არტურ სტეფანიანი,** შემდგომში წოდებული `მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და 2023 წლის 27 აპრილის #105430/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 `შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 `მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია, საინფორმაციო ვიდეორგოლის გახმოვანებისთვის, ხმის ჩაწერისა და დამუშავების მომსახურების (CPV- 98390000) შესყიდვა.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების აღწერილობა განისაზღვრება ტექნიკური დავალებით (დანართი #1) რომელებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 472.00 (ოთხას სამოცდათორმეტი) ლარს, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალიწინებული მომსახურება და ამ მომსახურების გაწევის შედეგად ჩაწერილი გახმოვანებული ტექსტი გადასცეს შემსყიდველს არაუგვიანეს 2023 წლის 2 მაისისა.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანა ფილაური ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პირი.
5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
5.4 ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ ან შესაძლო უმოკლეს ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: 2023 წლის საკუთარი შემოსავლებით.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გახანგრძლივების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას, რომ ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. თუ დამატებით ვადაში ან გაფრთხილების მიუხედავად მხარე არ ასრულებს ან მნიშვნელოვნად არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასლის 22
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

ლანა ჯიბლაძე

ი/მ არტურ სტეფანიანი ,
მისამართი : თბილისი, სამგორის რაიონი, გ.დიმიტროვის დას. N 9ა
საბანკო რეკვიზიტები : საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:BAGAGE22 ,
მიმღების ანგარიში: GE50BG0000000499075289
ს/კ – **01028003703,**

არტურ სტეფანიანი

დანართი N1

გახმოვანება

ტექნიკური დავალება:

- გასახმოვანებელია 1 წუთამდე ქრონომეტრაჟის ვიდეორგოლი.
- გახმოვანება უნდა განხორციელდეს პროფესიონალი მსახიობის მიერ, საშუალო ტემბრის ხმით, თხრობითი კილოთი.
- მსახიობის ხმა ჩაწერილი უნდა იყოს მაღალი ხარისხით, ხმის ჩამწერი სტუდიის ბაზაზე.
- სულ გასახმოვანებელი ტექსტის (ქართულენოვანი) ჯამური მოცულობაა არაუმეტეს 100 სიტყვისა.
- გახმოვანებული მასალა უნდა მიეწოდოს შემსყიდველს გასახმოვანებელი ტექსტის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 28 აპრილი, 2023 წ.

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საგანია, საინფორმაციო ვიდეორგოლის გახმოვანებისთვის, ხმის ჩაწერისა და დამუშავების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ი/მ არტურ სტეფანიანთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი - ლანა ჯიბლაძე